პროექტის განმარტება

პროექტი № N V-11/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მუხიანის 1 მ/რ-ის ტერიტორიაზე არსებული კორპუსი №18-ის 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების მიწისქვეშა ძალოვანი 3 წვერიანი ამორტიზებული კაბელის შეცვლას ს/ჯ №9026-დან, კორპუს №18-ის სარდაფში არსებული ძალოვანი გამანაწილებელი კარადის ამოტანას სარდაფიდან 1 სართულზე, სარდაფიდან გამომავალი ძალოვანი კაბელების გაუქმებას და ახალი საკაბელო ქსელის მოწყობას 1 სართულზე დადგმული ძალ. გამანაწ. კარადიდან სააბონენტო აღრიცხვის კვანძის კარადებამდე.

შენობის 1 სართულზე – პოზიცია №1-ზე კიბის უჯრედის ქვეშ კედელზე დამაგრებით დაიდგას ძალ. გამანაწ. კარადა ШРС-400/5,რომლის კორპუსი შეერთდეს ყრუდ არსებულ დამიწების კინტურზე.

აღნიშნული ძალ. კარადიდან 0,4 კვ. ძაბვით მომარაგდეს კაბელის კედელზე დამონტაჟებთ და საბოლოო ქუროების გაკეთების შემდეგ, სადარბაზოებში 1 სართულზე დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები: 24 მ/კარადები დაიკვებოს კაბელი АВВГ2(4*95)мм2 კვეთით, 1 მ/კ დაიკვებოს კაბელი АВВГ2(4*25)мм2 კვეთით. კაბელები კედელზე დამაგრდეს სამაგრი ანკერებით.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 9026-დან გრუნტზე შიდა კვარტალური გზის გასწვრივ, ამავე ასფალტირებული გზის გადაკვეთაში და ასფალტირებული ეზოს გვერდულზე კორპუსი № 18-ის სადარბაზოს შესასვლელამდე, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების და სამანქანო გზის კვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც უნდა გატარდეს სამონტაჟო ძალ. კაბელი, ჩაიდოს კაბელი АВВГ1(4*185)мм2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ასფალტირებულ ნაწილზე ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი, გრუნტიან ნაწილზე დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს.

ძალოვან კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ №9026-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში, გაუკეთდეს საბოლოო ქურო, გამოიხსნას არსებული ძალ. გამთიშველიდან სამწვერიანი ამორტიზებული კაბელი და მის ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელი. მეორე ბოლო შეყვანილი იქნას შენობის გარე კედელზე, დამაგრდეს მასზე, დაიხუროს მოთუთიებული ხოკერით, შეყვანილი იქნას სადარბაზოს შიგნით, გაუკეთდეს საბოლოო ქურო და შეერთდეს ახალ დადგმულ ძალ. გამანაწილებელი კარადის შემავალ გამთიშველზე.

შენობაში პოზიცია №2-ზე არსებულ ძველ ძალ. გამანაწ. კარადას და გამავალ ძალ. კაბელებს გაუკეთდეს დემონტაჟი და ჩაბარდეს ს/ს „თელასის" შესაბამის სამსახურს.

ძალ. კაბელის ნულოვანი სადენები შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მიზნით.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.